პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №

ქალაქ ქუთაისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №115-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ქუთაისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №115-ში (საკადასტრო კოდი: 03.01.22.067) არსებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

დავით ერემეიშვილი